

# სოფელ ხაბუმეს მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ ჯალაღონიას 2019 წლის ანგარიში

საქართველოს მთავრობის მიერ აღდგენილიქნა „სოფლის მხარდაჭრის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან , სადაც მოსახლეობის მიერ წამოჭრილი და შეჩერებული პრობლემები იქნა გადაჭრილი, შეკეთდა შიდა გზები, ამოწმენდილიქნა სანილვრე არხები, შეიცვალა ხიდ-ბოგირები, შემოღობილიქნა სასაფლაოები, სკვერამდე მოეწყო გარე განათება.

2019 წელს მოხდა მესამე საჯარო სკოლის ძველი შენობის დემონტაჟი და განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადდა ტენდერი სკოლის ახალი შენობის ასაგებად .

„ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამით ორ საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. სტიქიის მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელი თანხებით მოეწყო ნაპირსამაგრი სამუშაოები. ჩატარდა ფაროსანას საწინააღმდეგო სამუშაოები, პლანტაციები დამუშავდა ნისლით, ფერმერთა ჯგუფებს უსასყიდლოდ გადაეცათ შესაწამლი აპარატურა, დამუშავდა სიმინდის ნაკვეთები, განთავსდა ფერომონები .

ჩატარდა შეხვერდა მოსახლეობასთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულთან, პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან, მუნიციპალიტეტრის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან. მოსახლეობამ მოითხოვა გაზიფიკაცია, გზის ასფალტირება ეწერისა და ჟუღუს უბანში. მოხდა ორივე გზის პროექტირება და 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს სხდომების მუშაობაში უმრავლესობის ფორმატში, საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის მუდმივმოქმედ კომისიებში .

ჩატარებული სამუშაოებისა და შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა განთავსებულია საკრებულოსაა და მერიის ოფიციალურ და ფეისბუქის გვერდებზე .

საკრებულოს წევრი ნუგზარ ჯალაღონია

29.10.2019 წელი